

შპს "პროფლაინ კოსმეტიქსი"-ს (ს/კ 205060690)

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება 31.12.2023-ით დასრულებული წლისთვის

	12/31/2023	12/31/2022
ამონაგები	2,189,776	1,707,645
სულ ამონაგები	2,189,776	1,707,645
გაყიდული საქონლის თვითღირებულება:	-1,088,385	992,202
მარაგები პერიოდის დასაწყისში	756,460	651,664
შესყიდვების ხარჯები	1,319,975	1,096,998
მარაგები პერიოდის ბოლოს	988,050	756,460
საოპერაციო მოგება	1,101,391	715,443
საოპერაციო ხარჯები	-607,458	-478,551
ცვეთის ხარჯი	-19,550	-18,866
სულ საოპერაციო ხარჯები	-627,008	-497,417
არასაოპერაციო შემოსავალი	226	186,652
არასაოპერაციო ხარჯები	-15,124	-
ფინანსური ხარჯი		
სულ არასაოპერაციო მოგება/ზარალი	-14,898	186,652
მოგება დაბეგვრამდე	459,485	404,678
მოგების გადასახადი	-8249	-3,751
წმინდა მოგება (ზარალი)	451,236	400,927

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 სექტემბერს:

371167

დირექტორი
გიორგი ესებუა



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2023-ით დასრულებული წლისთვის

	12/31/2023	12/31/2022
აქტივები		
ძირითადი საშუალებები	155,318	167,252
არამატერიალური აქტივი	642	642
ჯამურად გრძელვადი ანაქტივები	155,960	167,894
მარაგები	988,050	756,460
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	134,069	92,950
ავანსად და სესხებად გაცემული	554	554
საგადასახადო აქტივი	14,216	5,514
ფული და ფულის ექვივალენტები	472,771	300,302
ჯამურად მოკლევადიანი აქტივები	1,609,660	1,155,780
სულ აქტივები	1,765,620	1,323,674
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
სწესდებო კაპიტალი	2,000	2,000
გაუნაწილებელი მოგება/დაუფარავი ზარალი	759,217	307,981
სულ კაპიტალი	761,217	309,981
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	187,796	427,223
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	187,796	427,223
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	816,607	586,470
საბიუჯეტო ვალდებულებები	0	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	816,607	1,013,693
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,765,620	1,323,674

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 სექტემბერს:


გ. ა. წ.

დირექტორი
გიორგი ესებუა

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 31.12.2023-ით დასრულებული წლისთვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	2000	-	307,981	309,981
წმინდა მოგება			451,236	
გასული პერიოდების ცომილება			-	
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	451,236	-
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა/კლება	-	-	-	-
2023 წლის 31 დეკემბერი	2000	-	759,217	761,217

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 სექტემბერს:


დირექტორი
გიორგი ესებუა



ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 31.12.2023-ით დასრულებული წლისთვის

	31/12/2023	12/31/2022
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	300,302	410,243
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,473,281	1,980,256
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	-1,175,425	-1,205,735
საგადასახადო ვალდებულებები	-504,962	-414,974
დაქირავებულთა ხელფასი	-337,516	-280,298
ბანკის საკომისიო	-5,859	-5,624
დაზღვევის ანაზღაურება	-	9,252
მივლინების ხარჯები	-23,109	-7,135
სხვა ხარჯი	-	-2,009
სულ ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	426,410	73,733
დამფუძნებლის დავალიანების დაფარვა	-243,023	-159,288
ფიქსირებული აქტივების შეძენა/რეალიზაცია	-8602	-
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	-
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-
სულ ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	-251,625	-159,288
ბანკის სესხი	-	-2,086
საპროცენტო შემოსავალი	198	73
საპროცენტო ხარჯი	-3,979	-7,497
დადებითი საკურსო სხვაობა	18,639	9,138
უარყოფითი საკურსო სხვაობა	-17,174	-24,014
სულ ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	-2,316	-24,386
ფულისა და ექვივალენტების ნეტო ცვლილება	-172,468	-109,941
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	472,771	300,302
	31/12/2023	12/31/2022

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 სექტემბერს:

გ. ი. ბ. ჯ.

დირექტორი
გიორგი ესებუა



1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „პროფლაინ კოსმეტიკის“ (შემდგომში - „კომპანია“) საიდენტიფიკაციო ნომრით: 205060690 იურიდიულ პირად დარეგისტრირდა საქართველოში 2005 წლის 01 აპრილს.

იურიდიული მისამართი: თბილისი, დოლიძის ქ 10, ბ-39.
საქმიანობის განხორციელების ადგილი: თბილისი, დოლიძის ქ 46/ბალანჩივაძეების 41
კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 2000 ლარს.

რეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

დირექტორი - გიორგი ესებუა (პ/ნ 35001017250)

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გერმანელი მწარმოებლის-„WELLA COMPANY“ თმის მოვლის საშუალებების იმპორტი, საბითუმო და საცალო რეალიზაცია დისტრიბუციის გზით.

კომპანიაში საანგარიშგებო წლის განმავლობაში დასაქმებული იყო საშუალოდ 22 თანამშრომელი.

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის დამუშნებული პარტნიორია:

1. გიორგი ესებუა (პ/ნ 35001017250) - 100% წილის მფლობელი

მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 2023 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოს ფინანსური ანგარიშგება რომელიც მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად.

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად. სტანდარტზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს შესაძარის ინფორმაციას.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც შესაძარის 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობის იგივე ინფორმაციასთან. 2023-2022 წლის 31 დეკემბერს დამთავრებული პერიოდისთვის სრული შემოსავლის ანგარიშგებას და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას. ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს - ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული

მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2,6894	2,9573
2022 წლის 31 დეკემბერი	2,7020	2,8844

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშზე არსებულ ნაშთს.

ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველა დანახარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა. საანგარიშგებო პერიოდის სესხები შედგებოდა ბანკისა და დამფუძნებლისგან ნასესხები თანხისგან.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული კონსიგნაციის ხელშეკრულების პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად, თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარების დროს, ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, ძირითადი საშუალებების აღირიცხა უნდა გახორციელდეს თვითღირებულებიდან დარიცხული ცვეთის და გაუფასურების ზარალის დაქვითვით. ძირითადი საშუალებების ცვეთა უნდა მოხდეს საბალანსო და სალიკვიდაციო ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. კონკრეტულ ძირითად საშუალებებზე სალიკვიდაციო ღირებულებასა და წლიური ცვეთის ნორმას ადგენს მთავარი ბუღალტერი დირექტორთან შეთანხმებით. თუ სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად. ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდით. კომპანიის საკუთრებაშია საოფისე ფართი (ვ.დოლიძის ქ #46), ავტომობილი და ოფისის აღჭურვილობა.

	შენიშვნები	სხვა
საბალანსო ღირებულება - ნაშთი 31.12.2022	303913.6	154092.06
დაგროვილი ცვეთა	145429.02	144682.02
დამატება	-	7616.24
გასვლა	-	-
დარიცხული ცვეთა	15195.68	4354.41
გასული d/ს ცვეთა	-	-
საბალანსო ღირებულება - ნაშთი 31.12.2023	303913.6	161708.3
დაგროვილი ცვეთა 31.12.2023	160624.7	149036.43
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	143288.9	12671.87

მარაგები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები - რასაც შეადგენს სარეალიზაციო პროდუქცია- აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. ჩამოწერა ხდება ინდივიდუალურ დანახარჯთა მეთოდით, როცა ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია. თუ ამ მეთოდის გამოყენება არ ხდება(ან ვერ ხერხდება), მაშინ გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

მატერიალური ფასეულობების შეძენა, რომელთა ღირებულება ერთეულზე არ აღემატება 200 ლარს, ან რომელთაც აქვთ სასარგებლო მომსახურების მცირე ვადა (არაუმეტეს 1 წლისა) და რომლებიც არ შეიტანება მარაგების შემადგენლობაში, განიხილება მიმდინარე პერიოდის ხარჯებად.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

მიღებული ავანსები წარმოიშობა, მაშინ როდესაც თანხა მიღებულია წინასწარ. წინასწარ გადახდები (ავანსები) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს ვალდებულებას იქამდე, სანამ არ მოხდება მისი გამომუშავება. როგორ კი ავანსი გამომუშავდება, იმავდროულად ვალდებულება შემცირდება და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში შემოსავალი აღიარდება.

სესხები.

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

გადასახადები.

მოგების გადასახადი - 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად.

მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად „კომპანია“ იბეგრება ე.წ. ესტონური მოდელით. ფინანსური ანგარიშგების წარდგენის მიზნებისთვის მოგების გადასახადის დაბეგვრის ობიექტი „კომპანიის“ მიერ იმიჯდება ორ ნაწილად: მოგება, რომელიც დივიდენდის სახით ნაწილდება და დაბეგვრის სხვა ობიექტები გარდა დივიდენდის სახით განაწილებული მოგებისა (სხვა დასაბეგრი ობიექტი). „კომპანიის“ მიერ დივიდენდის სახით განაწილებული მოგებიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება დივიდენდის განაწილების შესახებ საწარმოს პარტნიორთა მიერ გადაწყვეტილების მიღებისთანავე (კრების ოქმი). მოგების გადასახადის ხარჯი საანგარიშგებო მუხლით „მოგების გადასახადი“ წარდგენილი იქნება იმ საანგარიშგებო წლის მოგება ან ზარალში, როდესაც მოხდა დივიდენდის განაწილება. სხვა დასაბეგრი ობიექტიდან გამომდინარე მოგების გადასახადი აღიარდება გადასახადის გადახდის ვალდებულების წარმოშობი მოვლენის მოხდენის შესაბამის საანგარიშგებო თვეში, თუ ეს მოვლენა არ განაპირობებს საგადასახადო ვალდებულების შესაბამისი აქტივის წარმოშობას (როდესაც ვალდებულება შეიძლება შემცირდეს მაგ. გაცემული სესხის დაბრუნების შედეგად) და აკმაყოფილებს ხარჯის სახით აღიარების კრიტერიუმებს, მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება და წარდგენილი არის საანგარიშგებო პერიოდის მოგებაში ან ზარალში ხარჯის სახით. ის არ მიეკუთვნება საანგარიშგებო მუხლს „მოგების გადასახადი“.

საშემოსავლო გადასახადი „კომპანია“ იხდის საშემოსავლო გადასახადს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი განაკვეთით - 20%. საშემოსავლო გადასახადი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულია სხვა საგადასახადო დავალიანების მუხლში.

გადასახადები აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი

გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

კაპიტალი. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლის შენატანის რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები უნდა შეფასდეს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობის, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობების გათვალისწინებით.

ამონაგები აღიარდება როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- შესაძლებელია შემოსავლების მოცულობის ზუსტად განსაზღვრა;
- სავარაუდოა, რომ ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში;
- შესაძლებელია ბალანსის თარიღისათვის ტრანზაქციის დასრულების ეტაპის საკმარისად ზუსტად განსაზღვრა.
- შესაძლებელია ოპერაციის განხორციელებისათვის გაწეული ხარჯებისა და მისი დასრულებისათვის მომავალში საჭირო ხარჯების საიმედოდ შეფასება.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას, დარიცხვის მეთოდით და ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან

შემოსავალი რეალიზაციიდან წარმოადგენს თმისა და სხეულის მოვლის საშუალებების რეალიზაციიდან შემოსავალს დღგ-ს გარეშე.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდელები) იწვევენ სავალუტო რისკს. ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, მართვას და კონტროლს მისაღები პარამეტრების ფარგლებში ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, კომპანია არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. კომპანიის კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 20 სექტემბერს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არყოფილა გარემოებები, რამაც შეიძლება არსებითი გავლენა მოახდინოს წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ გააკეთა მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები, რომლებსაც ზეგავლენა აქვთ გარკვეული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, ასევე შემოსავლებზე, ხარჯებსა და განმარტებით შენიშვნებში მოცემულ სხვა ინფორმაციაზე. კომპანია პერიოდულად ამოწმებს ასეთ შეფასებებს და დაშვებებს, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი მოიცავს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ხელთ არსებულ ყველა სათანადო ინფორმაციას. თუმცა, ეს არ გამოიციხავს რეალური ციფრების შეფასებულ მონაცემებთან განსხვავებულობის ფაქტს.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2024 წლის 20 სექტემბერს:


დირექტორი გიორგიესებუა

